საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3040-02
10/09/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის არქიტიტექტურის პროგრამისთვის საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლების შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის N6 სხდომასა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის N3 სხდომაზე დამტკიცებული მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესის საფუძველზე და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის დიმიტრი ჯაფარიძის 2019 წლის 9 სექტემბრის N15403-35 წარდგინების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი 2019 წლის 10 სექტემბრიდან 2019 წლის 18 სექტემბრის 18:00 საათის ჩათვლით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის არქიტიტექტურის პროგრამისთვის საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლების შესარჩევად.
2. კონკურსის პირობები ვაკანსიების შესაბამისად დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2 შესაბამისად.
3. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის არქიტიტექტურის პროგრამისთვის საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლების შესარჩევად დამტკიცდეს საკონკურსო კომისია დანართი N3 მიხედვით.
4. უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის საიტზე და ელექტრონული მედიის შესაბამის საშუალებებში.
5. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისთვის: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი